

შპს Wishe Enterprise GE

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს Wishe Enterprise GE-ს ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	110 148,77	116 846,61
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	2 727 340,87	2 689 589,30
მარაგები		14 904,93	14 904,93
		2 852 394,57	2 821 340,84
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	3	17 031 625,87	17 338 073,16
წმინდა არამატერიალური აქტივები		14 420,21	20 991,11
		17 046 046,08	17 359 064,27
		19 898 440,65	20 180 405,11
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	4	2 940 300,15	3 209 507,53
		2 940 300,15	3 209 507,53
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	5	31 643 100,56	33 866 661,44
		31 643 100,56	33 866 661,44
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		9 463 280,00	9 463 280,00
გაუნაწილებელი მოგება		(24 148 240,06)	(26 359 043,86)
		(14 684 960,06)	(16 895 763,86)
		19 898 440,65	20 180 405,11

დირექტორი

ა. ფენენკო

ბუღალტერი

დ. ართმელაძე

შპს Wishe Enterprise GE-ს ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

	2022	2021
ამონაგები იჯარიდან	3 012 512,86	2 426 132,55
სხვა შემოსავლები	114 654,12	158 119,65
დასაქმებულთა ანაზღაურება	(25 437,65)	(8 770,32)
ცვეთა და ამორტიზაცია	(313 018,19)	(342 928,77)
იჯარის ხარჯი	(19 965,27)	(18 697,47)
საპროცენტო ხარჯი	(230 885,52)	(614 837,71)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(316 366,63)	(883 997,56)
საოპერაციო მოგება	2 221 493,72	715 020,37
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(10 689,92)	1 870 828,58
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	2 210 803,80	2 585 848,95
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება/(ზარალი)	2 210 803,80	2 585 848,95

დირექტორი
ა. ფენენკო

ბუღალტერი
დ. ართმელაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Wishe Enterprise GE (ს/ნ 404427214, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2012 წლის 6 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი #4 ხოლო ფაქტიური ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ., #8/10.

კომპანიის პარტნიორები არიან:

- ვიშერ ჰოლდინგს ლიმიტედი (ს/ნ HE253254, კვიპროსი) – 50%;
- NAIDOO HOLDINGS LIMITED (ს/ნ HE294485, კვიპროსი) - 50%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ანატოლი ფენენკო.

კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მკირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც განეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადანაწილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში. საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები	2022	2021
ნაღდი ფული	538,37	538,37
ფული ბანკში	109 610,40	116 308,24
	110 148,77	116 846,61

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები	2022	2021
მოთხოვნები მომსახურებიდან	1 885 637,47	1 885 637,47
მოთხოვნები პერსონალისადმი	10 304,56	-
საგადასახადო აქტივი	143 659,87	-
სხვა მოთხოვნები	422 695,09	538 907,95
მოთხოვნები პარტნიორზე კპიტალის შევსებაზე	246 314,00	246 314,00
გადახდილი ავანსები	18 729,88	18 729,88
	2 727 340,87	2 689 589,30

3. ძირითადი საშუალებები

	31.12.21	წმინდა ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	1 535 251,00	-	1 535 251,00
შენობა ნაგებობები	18 712 702,09	-	18 712 702,09
მანქანა-დანადგარები	753 208,99	-	753 208,99
ავტო და სხვა ინვენტარი	1 323 695,90	-	1 323 695,90
	22 324 857,98	-	22 324 857,98
აკუმულირებული ცვეთა			
შენობა ნაგებობები	(3 268 061,62)	(249 779,58)	(3 517 841,20)
მანქანა-დანადგარები	(602 752,22)	(29 697,40)	(632 449,62)
ავტო და სხვა ინვენტარი	(1 115 970,98)	(26 970,31)	(1 142 941,29)
	(4 986 784,82)	(306 447,29)	(5 293 232,11)
საბალანსო ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	1 535 251,00	-	1 535 251,00
შენობა ნაგებობები	15 444 640,47	(249 779,58)	15 194 860,89
მანქანა-დანადგარები	150 456,77	(29 697,40)	120 759,37
ავტო და სხვა ინვენტარი	207 724,92	(26 970,31)	180 754,61
	17 338 073,16	(306 447,29)	17 031 625,87

4. სავაჭრო ვალდებულებები

სხვა მიმდინარე აქტივები	2022	2021
მომწოდებლები	152 802,70	164 810,01
მიღებული ავანსები	2 726 451,89	2 982 901,88
სხვა ვალდებულებები	61 045,56	61 795,64
	2 940 300,15	3 209 507,53

5. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები	2022	2021
მიღებული სესხები	25 832 929,73	28 287 376,13
გადასახდელი პროცენტები	5 810 170,83	5 579 285,31
	31 643 100,56	33 866 661,44